

ბუნებრივი აირის მოხმარებაზე რეგულაციები გამკაცრდება



ბუნებრივი აირის მოხმარებაზე რეგულაციები გამკაცრდება, რაც კორპუსებში გაზის დეტექტორების დამონტაჟებასაც ითვადისწინებს.

დედაქარაქის მერის თქმით, მერიას უკვე ჰქონდა კომუნიკაცია შესაბამის უწყებებთან. კახა კარაძე ასევე საუბრობს კორპუსებში სპეციალური სენსორების დამონტაჟების აუცილებლობაზე, რომელიც ბუნებრივი აირის გაჟონვას სიგნალიზაციით დააფიქსირებს.

„ჩვენი მოვითხოვთ ამ მიმართულებით რეგულაციების გამკაცრება. გვქონდა შეხვედრა ენერჯეტიკის სამინისტროსთან. ჩვენი მხრიდან იყო მოთხოვნები, რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს. მათი მხრიდან თანხმობაც არის და ვფიქრობ, ერთიანი ძარისხმევით, ეს ცვლილებები განხორციელდება. კორპუსებში გაზის დეტექტორების დამონტაჟებაკანონით უნდა იყოს გათვადისწინებული. თუ კი მოხდება აირის გაჟონვა, ჩაირთვება სიგნალიზაცია და საფრთხე თავიდანვე იქნება აცირებული. თუმცა ადამიანებმა უნდა გამოიჩინონ სიფრთხილე. ეს კუსტარულად დაყენებული გამგამათბობლები წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას და ძარიან ბევრია ინტოკსიკაცია და უბედური შემთხვევები, შესაბამისად, უფრო მეტი ყურადღებაა საჭირო“, – განაცხადა კარაძემ.

შეგახსენებთ, დიღმის მასივში მომხდარი აფეთქების შედეგად 8 ადამიანი დაშავდა. შემთხვევას მსხვერპრი არ მოჰყოლია. პირველადი ვერსიით, აფეთქება კუსტარულად დამონტაჟებულმა გამათბობელმა

გამოიწვია. ძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პრიმა მუხდის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.